

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზის კიდევ უფრო სრულყოფისა და ხელმისაწვდომობის კუთხით მიზანშეწონილია აღნიშნული ბაზა აწარმოოს და, შესაბამისად, მითითებულ სუბიექტთა რეგისტრაცია განახორციელოს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელსაც, თავის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და თანამედროვე მოთხოვნებისთვის შესაბამისი მონაცემთა ბაზა გააჩნია ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნული ნოვაციის შედეგად მოხდება დროისა და ფინანსური ხარჯების მნიშვნელოვანი დაზოგვა, რეგისტრაციის პროცესის კიდევ უფრო გამარტივება და რეგისტრირებულ მონაცემთა მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაცია განხორციელდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ხდება შესაბამისი დებულებების ამოღება, რომლებიც უკავშირდება რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროცედურებს და მათი ასახვა მოხდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაცია განხორციელდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ხდება შესაბამის დებულებების ამოღება, რომლებიც უკავშირდება რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროცედურებს და მათი ასახვა მოხდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება მოახდენს გარკვეულ გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე (შემცირდება).

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე (შემცირდება).

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დაიზოგება ადმინისტრაციული ორგანოების მატერიალური რესურსები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირეტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის ღირეტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები მურთაზ ზოდელავა, პავლე კუბლაშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები მურთაზ ზოდელავა, პავლე კუბლაშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე

